

შპს „კონსტმენი„

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება -----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	5

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია -----	6
ანგარიშგების მომზადების საფუძვლები -----	6
ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	
ძირითადი საშუალებები	
არამატერიალური აქტივები	

შპს „კონსტმშენი“,
სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

	შენიშვნა	2018	2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	360,761.90	528,661.25
არამატერიალური აქტივები	5	-	-
საინვესტიციო ქონება	10	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		360,761.90	528,661.25
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	19,179.38	13,151.58
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	88,703.91	66,888.70
მარაგები	8	115,930.46	-
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	-
გაცემული სესხები	11	159,673.00	168,773.00
სულ მოკლევადიანი აქტივები		383,486.75	248,813.28
სულ აქტივები		744,248.65	777,474.53
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	26,330.00
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1,130,782.17	(297,025.11)
გადაფასების რეზერვი		28.09	-
სულ კაპიტალი		1,130,810.26	(270,695.11)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	81,233.26	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		81,233.26	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	11	-	112,920.26
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	(553,319.96)	982,599.90
საგადასახადო ვალდებულებები		85,525.09	(47,350.52)
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		(467,794.87)	1,048,169.64
სულ ვალდებულებები		(386,561.61)	1,048,169.64
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		744,248.65	777,474.53

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი :

შპს „კონსტმშენი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

	შენიშვნა	2018	2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	360,761.90	528,661.25
არამატერიალური აქტივები	5	-	-
საინვესტიციო ქონება	10	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		360,761.90	528,661.25
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	19,179.38	13,151.58
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	88,703.91	66,888.70
მარაგები	8	115,930.46	-
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	-
გაცემული სესხები	11	159,673.00	168,773.00
სულ მოკლევადიანი აქტივები		383,486.75	248,813.28
სულ აქტივები		744,248.65	777,474.53
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	26,330.00
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1,130,782.17	(297,025.11)
გადაფასების რეზერვი		28.09	-
სულ კაპიტალი		1,130,810.26	(270,695.11)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	81,233.26	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		81,233.26	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	11	-	112,920.26
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	(553,319.96)	982,599.90
საგადასახადო ვალდებულებები		85,525.09	(47,350.52)
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		(467,794.87)	1,048,169.64
სულ ვალდებულებები		(386,561.61)	1,048,169.64
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		744,248.65	777,474.53

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:



მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

	შენიშვნა	2018
ამონაგები	12	3,188,669
თვითღირებულება	13	(1,328,303)
საერთო მოგება		1,860,365
სხვა შემოსავლები		-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	16	(416,547)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	14	(17,900)
სხვა ხარჯები	15	-
საოპერაციო მოგება		1,425,918
ფინანსური შემოსავალი		5,500
ფინანსური ხარჯი	18	(16,711)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		13,100
მოგება დაბეგვრამდე		1,427,807
მოგების გადასახადი		-
წმინდა მოგება		1,427,807
სხვა სრული შემოსავალი:		
გადაფასების რეზერვი		28
მთლიანი სრული შემოსავალი		1,427,835

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი :

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

	შენიშვნა	2018
ამონაგები	<u>12</u>	3,188,669
თვითღირებულება	<u>13</u>	(1,328,303)
საერთო მოგება		1,860,365
სხვა შემოსავლები		-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	<u>16</u>	(416,547)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	<u>14</u>	(17,900)
სხვა ხარჯები	<u>15</u>	-
საოპერაციო მოგება		1,425,918
ფინანსური შემოსავალი		5,500
ფინანსური ხარჯი	18	(16,711)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		13,100
მოგება დაბეგვრამდე		1,427,807
მოგების გადასახადი		-
წმინდა მოგება		1,427,807
სხვა სრული შემოსავალი:		
გადაფასების რეზერვი		28
მთლიანი სრული შემოსავალი		1,427,835

დირექტორი:



ფინანსური მენეჯერი:

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 31 დეკემბერი	26,330	-	(297,025.11)	(270,695)
წმინდა მოგება	-	-	1,427,807	1,427,807
სხვა სრული შემოსავალი	-	28		28
პერიოდის სრული შემოსავალი	-	28	1,427,807	1,427,835
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	(26,330)	-		(26,330)
2018 წლის 31 დეკემბერი	-	28	1,130,782	1,130,810

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 31 დეკემბერი	26,330	-	(297,025.11)	(270,695)
წმინდა მოგება	-	-	1,427,807	1,427,807
სხვა სრული შემოსავალი	-	28		28
პერიოდის სრული შემოსავალი	-	28	1,427,807	1,427,835
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	(26,330)	-		(26,330)
2018 წლის 31 დეკემბერი	-	28	1,130,782	1,130,810

დირექტორი:



5

ფინანსური მენეჯერი:

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „კონსტმშენი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2012 წლის 09 იანვარს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 439392729

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა. შპს „კონსტმშენი“ ადგილობრივ ბაზარზე ახდენს კორპუსების შენებას, ასევე სხვადასხვა სახის სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, სამშენებლო ტექნიკის გაქირავებას.

2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია პეტრე გაბრიჭიძე. კომპანიის დირექტორია პეტრე გაბრიჭიძე. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის შეადგენს 26330 ლარს.

2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრისთვის კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 10.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ფინანსური ინსტრუმენტები

ტერმინების განმარტებები:

რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყვას ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. საუკეთესო რწმუნება რეალური ღირებულების დასადგენად არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც ივაჭრება აქტიურ ბაზარზე დგინდება შესაბამის აქტივზე ან ვალდებულებაზე დადგენილი ფასისა და რაოდენობის ნამრავლით. აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინაც, თუ ბაზარზე ვაჭრობის ყოველდღიური ნორმა არ არის საკმარისი, რათა მოიცვას მთლიანად გასაყიდად განთავსებული რაოდენობა და შეკვეთების რაოდენობის განთავსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ერთეულის კოტირებულ ფასზე.

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ამორტიზებადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ცვეთადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით.

კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას (1) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის საკუთრებას ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს. კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეცემული ტრანზაქციების

ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე, საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **წრფივი ცვეთის მეთოდით**, სასარგებლო მომსახურების ვადის და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობები	30 წელი
მანქანა დანადგარები	10-15 წელი
საოფისე ავეჯი და ინვენტარი	5-7 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	5 წელი
ავტომობილები	10 წელი

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

მარაგები

მარაგები ფასდება

თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. რეალიზებული

პროდუქციის თვითღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე.
წმინდა
სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს გასაყიდ ფასს , გამოკლებული დასრულებისა და
გაყიდვისთვის
საჭირო ხარჯები.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. მიმდინარე
გადასახადი ანგარიშდება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება
მოგებისგან, რომელიც წარდგენილია სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რადგან
აღნიშნული არ მოიცავს ისეთ შემოსავლებსა და ხარჯებს, რომლებიც ამ პერიოდში არ არის
დასაბეგრი ან გამოსაქვითი. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია
საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.
გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ
გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია კომპანიაში ეკონომიკური
სარგებლის შემოსვლა
და მათი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, და ამ ოპერაციის შედეგად იზრდება საკუთარი
კაპიტალი,
მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი ინვესტირების გარეშე. შემოსავალი ფასდება
ანაზღაურებული ან
ასანაზღაურებელი საკომპენსაციო თანხის საბაზრო ღირებულებით, კონტრაქტით
განსაზღვრული
გადახდის ვადისა და დასაბეგრი თანხის გათვალისწინებით. შემოსავლის მიღებისას
კომპანია
ხელმძღვანელობს კონკრეტული კრიტერიუმებით იმისათვის რომ განსაზღვროს
შემოსავალი, მიღებული
ძირითადი თუ არაძირითადი საქმიანობიდან.

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში.
ხარჯების
აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი
ეკონომიური
სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც
შეიძლება
საიმედოდ განისაზღვროს.
ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და
შემოსავლების

შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი

ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და

კავშირი შემოსავალთან მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება - ზარალის ანგარიშებში

ხარჯების აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის

მომავალ ეკონომიკურ სარგებელს ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ

შეესაბამება ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე

დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან

კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2018 წლის 31 დეკემბერს და 2017 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6766	3,0701
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2,5922	3,1044

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

- **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია მნიშვნელოვანი სასამართლო დავები.

4. ძირითადი საშუალებები

	შენიშნა - ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა	მიწა	დაუმონტაჟებული მოწყობილობები	ჯამი
ლარში									
2017 წლის ბოლოს მდგომარეობით	6,121	517,815	1,249	-	-	3,476	-	-	528,661
შესყიდვა		9,638	-	-	-	-		-	9,638
გასვლა		177,537	-			-			177,537
გაუფასურება									-
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია									-
გადაფასების რეზერვი									-
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	6,121	349,915	1,249	-	-	3,476	-	-	360,762
დაგროვილი ცვეთა									
2017 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	-	-	-	-	-	-	-	-
ცვეთის ხარჯი			-	-	-	-	-	-	-
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა		-	-			-			-
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	-	-	-	-	-	-	-	-
საბალანსო ღირებულება									
2017 წლის ბოლოს	6,121	517,815	1,249	-	-	3,476	-	-	528,661
2018 წლის ბოლოს	6,121	349,915	1,249	-	-	3,476	-	-	360,762

5. არამატერიალური აქტივები

კომპანიას არამატერიალური აქტივი არ გააჩნია

6. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	31/12/2018	31/12/2017
ფული სალაროში	11,222	8,554
ფული საბანკო ანგარიშებზე	7,958	4,598
	19,179	13,152

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2018	31/12/2017
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	87,250	66,354
საექვო ვალების ანარიცხების რეზერვი	-	-
სხვა მოთხოვნები	1,454	535
	88,704	66,889

8. მარაგები

მარაგები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	31/12/2018	31/12/2017
მზა პროდუქცია	-	-
ნედლეული	115,930	-
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
საქონელი	-	-
სხვა მარაგები	-	-
	115,930	-

9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	31/12/2018	31/12/2017
სავაჭრო ვალდებულებები	52,680	975,050
გადასახელი ხელფასები	-	7,550
გადასახდელი პროცენტები	-	-
გადასახდელი დივიდენდები	(606,000)	-
სხვა ვალდებულებები	-	-
	(553,320)	982,600

10. საინვესტიციო ქონება

კომპანიას საინვესტიციო ქონება არ გააჩნია

11. სესხები

მიღებული სესხები 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	მოკლევადიანი		გრძელვადიანი	
	31/12/2018	31/12/2017	31/12/2018	31/12/2017
ბანკის სესხები	-	112,920	81,233	-
დაკავშირებული მხარეების სესხები			0	
ოვერდრაფტები				
სულ სესხები	-	112,920	81,233	-

გრძელვადიანი სესხის დაფარვის ვადაა 2021 წლის 31 დეკემბერი, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 9% (2017 წელს 9%).

გაცემული სესხები 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	მოკლევადიანი		გრძელვადიანი	
	31/12/2018	31/12/2017	31/12/2018	31/12/2017
დაკავშირებული მხარეების სესხები			159,673.00	168,773.00
სულ სესხები	-	-	159,673	168,773

გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 15%-

12. ამონაგები

ამონაგები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	31/12/2018
მომსახურების რეალიზაცია	3,188,669
ნედლეულის რეალიზაცია	-
მზა პროდუქციის რეალიზაცია	-
	3,188,669

13. თვითღირებულება

თვითღირებულება 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	31/12/2018
მომსახურების თვითღირებულება	1,328,303
ნედლეულის თვითღირებულება	-
მზა პროდუქციის თვითღირებულება	-
	1,328,303

14. მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2018
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	17,900
საწვავის ხარჯი	-
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	-
რეალიზაციის დანახარჯები	-

15. სხვა ხარჯი

სხვა ხარჯები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილი არ არის

16. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	31/12/2018
შრომის ანაზღაურება	251,738
ცვეთა და ამორტიზაცია	145,326
დაზღვევის ხარჯი	-
საგადასახადო ხარჯი	-
საკონსულტაციო ხარჯი	-
საიჯარო ქირა	4,529
რემონტი	1,186
წარმომადგენლობითი ხარჯები	-
იჯარის ხარჯი	-
მივლინების ხარჯები	-
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	13,768
კომუნიკაციის ხარჯები	-
	416,547

17. რეალიზებული მზა პროდუქციის თვითღირებულების კომპონენტები

	31/12/2018
პირდაპირი მასალები	914,633
შრომითი ანაზღაურება	
კომუნალურები	
იჯარა	
ცვეთა	
დამხმარე მასალები	
რემონტები	
სხვა	413,670
	1,328,303

18. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	31/12/2018
ბანკის სესხის პროცენტი	16,232
დაკავშირებული მხარის სესხის პროცენტი	-
სხვა ფინანსური ხარჯები	478
	16,711

19. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა

და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად.

ფინანსური ვალდებულებები

ლარი	გრძელვადიანი ვალდებულებები	მოკლევადიანი ვალდებულებები
2018 წლის დასაწყისში		
სესხები	81,233	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		(553,320)
2018 წლის ბოლოს	81,233	(553,320)

ფინანსური აქტივები

ლარი	გრძელვადიანი აქტივები	მოკლევადიანი აქტივები
2018 წლის დასაწყისში		
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები		19,179
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		88,704
გაცემული სესხები		159,673
2018 წლის ბოლოს	-	107,883

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო. კომპანია ბალანსის შედგენის თარიღისთვის არ ელოდება რაიმე სახის დანაკარგებს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების გამო.

საბაზრო რისკი ჩნდება იმის გამო, რომ კომპანია იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს უცხოურ ვალუტაში. არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება იქნება არამყარი საპროცენტო განაკვეთის (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და კურსთა შორის სხვაობის გამო.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტიან სესხებთან, ცვლადი საპროცენტო განაკვეთის გამო. კომპანიას არ აქვს რისკი, რომ საპროცენტო განაკვეთი გაიზარდოს, რადგან ყველა მიღებულ სესხზე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი აქვს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ვალუტის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	19,179			19,179
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	88,704			88,704
გაცემული სესხები		159,673			159,673
სულ ფინანსური აქტივები		267,556	=	=	267,556
ფინანსური ვალდებულებები	შენიშვნა	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
სესხები	11		81233,26		81233,26

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	(553320)		(553320)
სულ ფინანსური ვალდებულებები	20	(553,320)	81,233	= (472,087)
				1

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ორგანიზაციის მგრძნობელობას აშშ დოლარის და ევროს ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას მენეჯმენტის მიერ.

31 დეკემბერი 2018 წელი	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა
	ლარი/აშშ დოლარი +20%	ლარი/აშშ დოლარი -20%	ლარი/აშშ დოლარი +20%
მოგება/ზარალი			
ო	(16246,60)	16246,60	

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნა;

20. პირობითი ვალდებულება

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი ცვლილებებით კანონმდებლობაში, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, წინააღმდეგობრივი და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოების მიერ განსხვავებულად ინტერპრეტირებული. გადასახადები ხშირად ექვემდებარება განხილვას იმ სახელმწიფო ორგანოების მიერ, რომლებსაც აქვთ უფლებამოსილება, დააწესონ მძიმე ჯარიმები და საპროცენტო განაკვეთები. საგადასახადო წელი კვლავ ღიაა განხილვისთვის საგადასახადო ორგანოების მიერ სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ გარემოებებში საგადასახადო წელი შეიძლება ღია იყოს კიდევ უფრო დიდი ვადით. აღნიშნულმა გარემოებებმა შესაძლოა წარმოქმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რაც ბევრად უფრო მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნებთან შედარებით. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მათ ადეკვატურად უზრუნველყვეს საგადასახადო ვალდებულებები საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მათ მიერ ინტერპრეტაციაზე დაყდნობით. მიუხედავად ამისა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა განსხვავებული ინტერპრეტაცია ქონდეთ, რაც მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს საგადასახადო დავა, 124778 ლარზე.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

კომპანიაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მოვლენებს არ ჰქონია ადგილი.